

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

08.11.2016N 222

თბილისი

საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო
პროგრამებზე 2016 წლის 21 ნოემბრიდან
ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების
პირველი სასწავლო სემესტრის და 2016 წლის
16 მაისიდან ჩარიცხული პროფესიული
სტუდენტების მეორე სასწავლო სემესტრის
განრიგის შესახებ

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე სტუ-ს საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2016 წლის 21 ნოემბრიდან ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირველი სასწავლო სემესტრის და 2016 წლის 16 მაისიდან ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მეორე სასწავლო სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სააუდიტორიო მეცადინეობები - ლექციები, პრაქტიკული და ლაბორატორული მეცადინეობები ჩატარდეს 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2017 წლის 25 მარტის ჩათვლით.
2. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;
3. პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-7 სასწავლო კვირაში, 2017 წლის 9 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით, მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) მე-14 სასწავლო კვირაში, 2017 წლის 27 თებერვალიდან 4 მარტის ჩათვლით, ხოლო მე-3 შუალედური გამოცდა (ტესტირება) - 2017 წლის 27 მარტიდან 29 მარტის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
4. შუალედური გამოცდების (ტესტირების) დღეებში სააუდიტორიო მეცადინეობები არ დაიგეგმოს (იხ. დანართები 1 და 2);
5. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2017 წლის 30 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები 2017 წლის 10 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით (იხ. დანართი 1);

6. სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 3) შეიტანოს პროფესიულ სტუდენტთა შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (იხ. დანართი 2) შედეგები გამოცდის (ტესტირების) ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);
7. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს დამატებითი გამოცდების ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი ელექტრონული უწყისის ამონაბჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას; უწყისის ერთ ეგზემპლარს ჩააკრებს შესაბამის საქალაქო დეპარტამენტში, ხოლო მეორე ეგზემპლარს გადასცემს დეკანატს არსებული წესის მიხედვით;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (ი. ლომიძე).
9. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.


რექტორი

 ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი

ლ. კლიმიაშვილი




სწავლების დეპარტამენტის

უფროსი ი. ლომიძე



სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი

საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2016 წლის 21 ნოემბრიდან ჩარსტვლიანი პროფესიული სტუდენტების პირველი სემესტრის და 2016 წლის 16 მაისიდან ჩარსტვლიანი პროფესიული სტუდენტების მეორე სემესტრის სასწავლო გრაფიკი

| თარიღი | საგანი | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | სემესტრი | სემესტრის დასაწყისი | სემესტრის დასასრული |
|---------------------------|--------|---|----------|--------------------------|---------------------|
| 21-26 ნოემბერი | I | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | I | 1-8 იანვარი | 26-31 დეკემბერი |
| 28 ნოემბერი - 3 დეკემბერი | II | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | II | 9-14 იანვარი | 19-24 დეკემბერი |
| 5-10 დეკემბერი | III | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | III | 16-21 იანვარი | 12-17 დეკემბერი |
| 21-26 ნოემბერი | IV | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | IV | 23-28 იანვარი | 5-10 დეკემბერი |
| 28 ნოემბერი - 4 თებერვალი | X | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | X | 30 იანვარი - 4 თებერვალი | 19-24 დეკემბერი |
| 6-11 თებერვალი | IX | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | IX | 6-11 თებერვალი | 12-17 დეკემბერი |
| 13-18 თებერვალი | IIIX | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | IIIX | 13-18 თებერვალი | 5-10 დეკემბერი |
| 20-25 თებერვალი | IIIIX | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | IIIIX | 20-25 თებერვალი | 12-17 დეკემბერი |
| 27 თებერვალი - 4 მარტი | AIIX | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | AIIX | 27 თებერვალი - 4 მარტი | 5-10 დეკემბერი |
| 6-11 მარტი | AV | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | AV | 6-11 მარტი | 12-17 დეკემბერი |
| 13-18 მარტი | AVI | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | AVI | 13-18 მარტი | 5-10 დეკემბერი |
| 20-25 მარტი | AVII | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | AVII | 20-25 მარტი | 12-17 დეკემბერი |
| 27-29 მარტი | AVIIX | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | AVIIX | 27-29 მარტი | 5-10 დეკემბერი |
| 30 მარტი - 1 აპრილი | III | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | III | 30 მარტი - 1 აპრილი | 12-17 დეკემბერი |
| 3-5 აპრილი | XIX | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | XIX | 3-5 აპრილი | 5-10 დეკემბერი |
| 10-15 აპრილი | XX | საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი | XX | 10-15 აპრილი | 12-17 დეკემბერი |

სტუდენტთა მიღწევების შეფასება

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ყველა საფეხურის საგნობრივი პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის (შემდგომში სტუდენტი) შუალედური შეფასება მოიცავს 3 შუალედურ გამოცდას (ტესტირებას);
2. შუალედური გამოცდების (ტესტირებების) შეფასებებია:
 - I შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
 - II შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
 - III შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;

დასკვნითი და დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებების ჯამში დააგროვა 21 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული);
3. დასახელებული მინიმუმის შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად სააუდიტორიო მეცადინეობების ბოლო კვირის შეფასებების ფანჯარასთან ერთად გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა (შემდგომში – დოკუმენტური მასალის ფანჯარა) სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით. დოკუმენტური მასალის ფანჯარა იხსნება სილაბუსით განსაზღვრული თითოეული სამუშაოსათვის;

დოკუმენტური მასალის ფანჯარა/ფანჯრები დაიხურება დასკვნითი გამოცდის ფანჯრის დახურვასთან ერთად;
4. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი ვალდებულია გავიდეს დასკვნით გამოცდაზე. დასკვნითი და დამატებითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასებაა მაქსიმალური შეფასების მეოთხედი (7,5 ქულა).

შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება – ვერ ჩააბარა), აგრეთვე აღნიშნული შეფასებების ჯამში 51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე არასაკმარისი შეფასების მიღებისას, სტუდენტს აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
5. დასკვნით ან/და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით, მიეცემა გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;
6. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა; დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგები არ ჯამდება;
7. სტუდენტის საბოლოო შეფასება მიიღება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შეფასების დაჯამებით. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), აგრეთვე

- დასკვნით/დამატებით გამოცდაზე არასაკმარისი შეფასების მიღებისას (ქულების ჯამური რაოდენობის მიუხედავად), სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;
8. სასწავლო პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს ემთხვევა, ისევე შეფასდება, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსი ან მისი კომპონენტი (სილაბუსით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად);
 9. საწარმოო პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი წესით;
 10. სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

..... ფაკულტეტი
 № პროფესიული ჯგუფის სტუდენტთა შეფასების უწყისი №

სწავლების წელი

სემესტრი

აკადემიური წელი -

საგანმანათლებლო პროგრამა:

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი

ECTS
პრედიტი

სწავლების ფორმა
და კვირეული
დატვირთვა, სთ :

ლექცია

პრაქტიკული

ლაბორატორიული

სასწავლო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა

| # | გვარი, სახელი | კვირები (თარიღები) | | | | | | საბოლოო შეფასება, ქულა |
|----|------------------------------------|-------------------------------------|--------------------------------------|-------|-----------|----------------------------|--------------------------|---------------------------|
| | | VII | XIV | XVIII | სულ, ქულა | XVIII - XIX | XX | |
| | | შუალედური შეფასებები, ქულა | | | | დასკვნითი გამოცდა, ქულა | დამატებითი გამოცდა, ქულა | |
| | I შუალედური გამოცდა (ტესტირება) | II შუალედური გამოცდა (ტესტირება) | III შუალედური გამოცდა (ტესტირება) | | | | | |
| | მაქსიმალური ქულა | 20 | 20 | 30 | 70 | 30 | 30 | 100 |
| 1 | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | |
| 11 | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | |

| | | | | |
|---|----------------|-----------|-----------------|----------------------|
| სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი | ინიც. და გვარი | ბელმოწერა | თარიღი | ფაკულტეტის დეკანი |
| აკადემიური დეპარტამენტის უფროსი | ინიც. და გვარი | ბელმოწერა | რეგ.№ თარიღი | |